

ეკომიგრაცია
გამოწვევები და შესაძლებლობები
გარემოს დაცვის, ადამიანის უფლებებისა და მიგრაციის კონტექსტში

რეზო გეთიაშვილი
CENN

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ხალა, 21.09.2008, 16:30

ჩამოწოლილმა მეწყერმა საცხოვრებელი სახლი დამარხა

მსხვერპლი: 7 ადამიანი, მათ შორის, ოჯახის 6 წევრი (3 მცირეწლოვანი ბავშვი).

სახლს მინიჭებული ჰქონდა პირველი კატეგორია (დანგრეული). ოჯახი ინფორმირებული იყო საფრთხის შესახებ, მაგრამ ნათესავებთან გადასვლაზე უარს ამბობდა იმ მოტივით, რომ სახლის დატოვების შემთხვევაში, კომპენსაციას ვერ მიიღებდა.

ჩამოწოლილმა მეწყერმა ოჯახის ოთხი წევრი, მათ შორის, მცირეწლოვანი ბავშვი იმსხვერპლა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მასაურაშიც.

სტიქიის მსხვერპლთა რაოდენობამ ბოლო წლებში 400–ს მიაღწია.

მსხვერპლი იყო გასულ კვირასაც.

ოფიციალური ინფორმაციით, 11 000-ზე მეტი ოჯახი დღემდე სიცოცხლის რისკის ქვეშ რჩება. მათი სახლები ოფიციალურადაა შეფასებული, როგორც დანგრეული, ან საცხოვრებლად უვარგისი და არააღდგენადი.

საქართველო ბუნებრივი კატასტროფების სიხშირის მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება. გარემოს ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, ბოლო წლებში სტიქიების მასშტაბები მკვეთრად გაიზარდა და უფრო მეტ აქტივაციას განიცდის. ყოველივე ეს კი აისახება ეკომიგრანტების განსაკუთრებით დიდ და მზარდ რაოდენობაში (ეკომიგრანტებში მოიაზრებიან რისკის ზონაში მცხოვრები ოჯახებიც, რომელთა სახლები ოფიციალურადაა შეფასებული, როგორც დანგრეული, ან საცხოვრებლად უვარგისი და არააღდგენადი).

სტიქიისგან დაზარალებული ან რისკის ქვეშ მყოფი ოჯახების განსახლება და მათი სოციალური დაცვა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა. სახელმწიფო ყოველწლიურად ასამდე ოჯახის განსახლებას ახერხებს. თუმცა, განსახლების თანხები 2010–2011 წლების ბიუჯეტში საერთოდ არ ყოფილა გათვალისწინებული.

ადგილნაცვალი პირები განსახლების შემდეგაც საზოგადოების უღარიბეს სეგმენტად რჩებიან. მძიმე მდგომარეობაშია 1990-იანი წლების შემდეგ განსახლებული ოჯახების ერთი ნაწილი.

არ არსებობს სახელმწიფოს ხედვა და სტრატეგია მათი პრობლემების გადასაჭრელად. საქართველოს კანონმდებლობა სტიქიების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირებს საერთოდ არ ცნობს.

ეროვნული კანონმდებლობა და საერთაშორისო ვალდებულებები

მიგრაციის საკითხები ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი პრიორიტეტია, რაც შიდა მიგრაციას და იძულებით გადაადგილებული პირებთან დაკავშირებულ პრობლემებსაც ეხება.

ევროკავშირი და ნებისმიერი ქვეყანა, სადაც “იძულებით გადაადგილების” პრობლემა არსებობს, ამ ცნებაში სტიქიის შედეგად ადგილნაცვალ პირებსაც მოიაზრებს, სახელმწიფოების ვალდებულებები კი განსაზღვრულია გაეროს საერთაშორისო სახელმძღვანელო პრინციპებით იძულებით გადაადგილებული პირების შესახებ.

გაეროს საერთაშორისო სახელმძღვანელო პრინციპებით, *„იძულებით გადაადგილებულ პირებად ითვლებიან ის პირები ან პირთა ჯგუფები, რომლებიც იძულებული გახდნენ, დაეტოვებინათ სახლი ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, რათა გაქცეოდნენ შეიარაღებულ კონფლიქტს, საყოველთაო ძალადობას, ადამიანის უფლებათა ხელყოფას და სტიქიურ ან ადამიანის მიერ შექმნილ კატასტროფებს“.*

ამ დეფინიციიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ ტერმინი „იძულებით გადაადგილებული პირი“ მოიცავს სტიქიური მოვლენების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირებს – ეკომიგრანტებს და ყველა ის სამართლებრივი დაცვის სტანდარტი, რომლებსაც ადგენს დოკუმენტი, ვრცელდება ეკომიგრანტებზეც.

კერძოდ, *“ეროვნულ ხელისუფლებებს ეკისრებათ უპირატესი ვალდებულება და პასუხისმგებლობა, რათა თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში იძულებით გადაადგილებული პირები უზრუნველყონ შესაბამისი დაცვითა და ჰუმანიტარული დახმარებით, იძულებით გადაადგილებულ პირებს კი უფლება აქვთ მოითხოვონ და მიიღონ დაცვა და დახმარება ხელისუფლებებისაგან”.*

სხვაგვარი მიდგომა გვაქვს ეროვნულ კანონმდებლობაში. იძულებით გადაადგილებული პირის განმარტება მოცემულია 1996 წლის საქართველოს კანონში *„იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევილთა შესახებ.“* საერთაშორისო პრინციპებიდან კოპირებულ ტექსტში აღარ გვხვდება სტიქიური კატასტროფები და კანონი არ იცავს პირთა ჯგუფს, რომელიც სტიქიური მოვლენის ან ადამიანის მიერ შექმნილი კატასტროფის შედეგად იძულებული გახდა, დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. შესაბამისად, ხელისუფლებასაც მოხსნილი აქვს პასუხისმგებლობა და იძულებით გადაადგილებული პირებიც მოკლებული არიან კონსტიტუციით თუ საერთაშორისო პრინციპებით დადგენილი უფლებების

განხორციელების შესაძლებლობებს. მათზე არ ვრცელდება არანაირი სტატუსი და ამ კატეგორიის პირები ვერ სარგებლობენ კანონით გარანტირებული სამართლებრივი დაცვის მექანიზმით.

ეკომიგრანტების ცნება გვხვდება „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებაში, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონში და საქართველოს საგადასახადო კოდექსში. საკანონმდებლო აქტები ითვალისწინებს გარკვეული ტიპის შეღავათს ეკომიგრანტის მიმართ და განსაზღვრავს კომპეტენციებს პასუხისმგებელი სტრუქტურებისათვის, თუმცა არ არსებობს საკანონმდებლო ნორმა, რომელშიც მოცემულია ეკომიგრანტის დეფინიცია და პირთა წრე, რომელზეც ვრცელდება აღნიშნული სამართლებრივი სტატუსი.

ეკომიგრანტების პრობლემები ნაკლებადაა ცნობილი მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიისთვისაც (მიუხედავად იმისა, რომ კომისიის დებულებით, მისი მიზნები, ფუნქციები, ამოცანები და უფლებამოსილება პირდაპირ უკავშირდება ეკომიგრანტების პრობლემატიკას). თუმცა, რაკი კომისიის უმთავრესი ფუნქცია “სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე მიგრაციის სფეროში განსახორციელებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით შესაბამისი წინადადებების შემუშავებაა”, კითხვაც პრიორიტეტული ხდება: მოიცავს თუ არა ეს გეგმა ეკომიგრაციის საკითხებს?

პასუხს კი ევროკავშირის დელეგაცია იძლევა. კომისიის თავმჯდომარის მისამართით 2011 წლის 30 მაისს გაგზავნილ წერილში აღნიშნულია: “პოზიტიურად აღვნიშნავთ, რომ კომისიის მანდატის ქვეშ ეკომიგრანტების (იგივე სტიქიის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირების) პრობლემაც იქნება”.

საქართველოს სახალხო დამცველის უკანასკნელი საპარლამენტო ანგარიშით საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, “სტიქიური მოვლენების შედეგად იძულებით გადაადგილებული პირების ადეკვატური დაცვის რეალიზაციისათვის არსებული სამართლებრივი რეგულაცია ძალზედ ზოგადი, მწირი და არადამაკმაყოფილებელია. ამდენად, ეკომიგრანტებისათვის ეფექტური სამართლებრივი დაცვის სისტემის უზრუნველსაყოფად საჭიროა, საკანონმდებლო დონეზე განისაზღვროს ამ კატეგორიის პირების სამართლებრივი სტატუსი, რომელშიც ნათლად იქნება გაწერილი პირთა რა ჯგუფზე გავრცელდება აღნიშნული დეფინიცია. გარდა ამისა, ეფექტური სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია სამართლებრივ დონეზე განისაზღვროს დროებითი ან მუდმივი განსახლების, შემდგომი ადაპტაცია-ინტეგრაციის და სოციალური პირობებით უზრუნველყოფის მექანიზმი და პროცედურები”.

სახელმწიფო რეგულაციები

2010 წლის ნოემბერში, CENN-მა აჭარასა და კახეთში ჩაატარდა ე. წ. „გასასახლებელი“ და „განსახლებული“ ეკომიგრანტი ოჯახების სოციოლოგიური კვლევა. შედეგებმა აჩვენა, რომ განსახლების პროცესზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა გამოკითხული ეკომიგრანტი ოჯახების 75% მხრიდან უარყოფითად ფასდება.

რაც შეეხება თავად ხელისუფლებას, მისთვის ყველაზე არსებითი ის ტვირთია, რასაც ათი ათასობით მოქალაქის კონსტიტუციური უფლებების აღიარებით და საერთაშორისო ნორმების შესრულებით აიღებს.

განსახლების პროცესი, რომელიც საქმიანობათა ფართო სპექტრს მოიცავს, დღეისათვის ქაოტური და არასისტემურია. ბუნებრივი კატასტროფებისა და მიგრაციის საკითხების მართვის სისტემის არარსებობა სწორედ სახელმწიფო ფინანსების არაეფექტური ხარჯვისა და მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალის მიზეზი ხდება. რაც შეეხება ტვირთს, თუკი სახელმწიფო გრძელვადიან სტრატეგიას შეიმუშავებს, ტვირთიც ხანგრძლივ პერიოდზე გადანაწილდება, ქვეყანას კი უმწვავესი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები მოეხსნება.

ეკომიგრაციული პროცესების სახელმწიფო რეგულაცია 2 ეტაპს მოიცავს:

1. ეკომიგრანტების განსაზღვრა, რეგისტრაცია და განსახლების ორგანიზება.
2. შემდგომი ადაპტაცია-ინტეგრაციის ღონისძიებების განხორციელება

ეკომიგრაციის სახელმწიფო რეგულაციაში იკვეთება რამდენიმე არსებითი სახის პრობლემური ასპექტი. პირველ რიგში, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ეკომიგრანტებთან დაკავშირებით ქვეყანაში შექმნილია იურიდიული ვაკუუმი, არ არსებობს ეკომიგრანტთა სამართლებრივი სტატუსისა და სოციალური გარანტიების განმსაზღვრელი საკანონმდებლო რეგულაცია. გარდა ამისა:

- ერთიანი პოლიტიკის, კანონმდებლობის, სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმების გარეშე განხორციელებული ღონისძიებები სპონტანური და ერთჯერადია, მისთვის გამოყოფილი თანხების ხარჯვა კი – არაეფექტური.
- განსახლების პროცესი მკაცრად ცენტრალიზებულია. კომპეტენციები თავმოყრილია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში, რომელსაც ამ კომპეტენციების შესრულებისთვის არც ადამიანური და არც ფინანსური რესურსი არ გააჩნია.

- ბენეფიციარების მხრიდან სახელმწიფო დახმარების მიღება არსებითად დამოკიდებულია სახლ-კარის დაზიანების კატეგორიების მინიჭებაზე, კატეგორიზაციის სისტემა კი სრულიად მოშლილია. თვითმმართველობები, რომლებიც სახლების დაზიანების ხარისხის შესახებ ინფორმაციის ერთადერთ წყაროს წარმოადგენენ, ხშირად არ არიან ინფორმირებული აღნიშნული სისტემის და საკუთარი კომპეტენციების შესახებ.
- განსახლების შესახებ ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ეყრდნობა არასპეციალისტების მიერ ჩატარებულ ვიზუალური შეფასებებებს, როცა ამ პროცესში საერთოდ არ არის გათვალისწინებული გარემოს ეროვნული სააგენტოს ხელთ არსებული დეტალური ინფორმაცია საფრთხეებისა და რისკების შესახებ.
- გადაწყვეტილების მიღებისას არ განიხილება ე. წ. ადგილმონაცვლეობა, რაც გულისხმობს ეკომიგრანტისთვის საცხოვრებელის გამოყოფას თემის ან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.
- თვითმმართველობებს, რომლებსაც მეტი ინფორმაცია აქვთ როგორც პრობლემების, ასევე მისი გადაჭრის შესაძლებლობების შესახებ და ამასთან, პრობლემის მოგვარება გაცილებით იაფად და ეფექტურად შეუძლიათ, არ გააჩნიათ შესაბამისი კომპეტენცია და ფინანსები.
- სახელმწიფოს არ აქვს განსაზღვრული, რა შემთხვევაშია მიზანშეწონილი დაზარალებული ოჯახებისათვის ფინანსური დახმარების გაწევა და რა შემთხვევაში – მათი განსახლება.
- არ ხდება კოორდინირება განსახლებისა და დაზარალებული მოსახლეობისთვის ფულადი კომპენსაციების გაცემის პროცესს შორის, რომელსაც ადგილობრივი თვითმმართველობა ახორციელებს. ეს კი თანხების არამიზნობრივი ხარჯვის მიზეზი ხდება.
- არ სრულდება გაეროს სახლმძღვანელო მე-7 და მე-9 პრინციპები, რაც გულისხმობს პასუხისმგებელი ოფიციალური პირების მიერ ყველა შესაძლო ალტერნატივის შესწავლას, “რათა თავიდან იქნას აცილებული სრული გადაადგილება” და სახელმწიფოს “განსაკუთრებულ მოვალეობას, გადაადგილებისგან დაიცვას მკვიდრი მოსახლეობა, გლეხები, მწყემსები და სხვა ჯგუფები, რომლებიც უპირატესად არიან დამოკიდებული და მიმაგრებული მიწაზე”.
- კატეგორია ენიჭება უკვე მომხდარი სტიქიისგან დაზარალებულ სახლს და არ ხდება რისკის შეფასება. პრაქტიკა კი ადასტურებს, რომ ხშირად მაღალი რისკის ზონაში მცხოვრები ოჯახების განსახლება უფრო აუცილებელია, ვიდრე უკვე დაზიანებულ სახლებში მცხოვრები ოჯახების.
- ბუნდოვანია, რა კრიტერიუმებით ხდება კატეგორიების განსაზღვრა – მხოლოდ დაზიანების შეფასებით თუ სხვა ასპექტების, მათ შორის, ოჯახის სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებითაც.
- გარემოს ეროვნული სააგენტო 2004 წლის შემდეგ აღარ ახორციელებს პროგრამულ გეოლოგიურ მონიტორინგს. შედეგად, ხელისუფლებისთვისაც

და ადგილობრივი მოსახლეობისთვისაც უცნობია საშიში ბუნებრივი პროცესების დინამიკა, რისკები, საფრთხეები და პროგნოზი.

- არ არის რეგლამენტირებული და გაწერილი, თუ საცხოვრებელი სახლის დაზიანების ხარისხის მიხედვით, რომელი კატეგორიის ოჯახს რა ოდენობის ფინანსური დახმარება გაეწევა და რა კრიტერიუმებით განისაზღვრება ეს თანხა.
- სახელმწიფოს მხრიდან განსასახლებელ ოჯახებთან არ ტარდება სათანადო წინასწარი საკომუნიკაციო ღონისძიებები, რის გამოც ჩასახლების ადგილებში არსებული ვითარების შესახებ მათ აქვთ სერიოზული ინფორმაციული დეფიციტი, ვერ აცნობიერებენ თუ რა სახის ახალ რეალობაში მოუწევთ ცხოვრება, ეს კი განსახლების შემდგომ ადაპტაციის პროცესს მნიშვნელოვნად აფერხებს, რაც უკუმიგრაციული პროცესების მასტიმულირებელ გარემოებად იქცევა.
- არ ხდება მიმღები თემების წინასწარი ინფორმირება და შემზადება შესაძლო კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად.
- განსახლებული ოჯახები საარსებო წყაროსა და ყოველგვარი სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გარეშე რჩებიან.
- მძიმე პირობების გამო განსახლებულები დანგრეულ სახლებში ბრუნდებიან.
- კომპენსაციის თანხები ხშირად არამიზნობრივად იხარჯება და ოჯახები, რომელთაც დახმარება გაეწიათ, ისევ დანგრეულ სახლებში ცხოვრობენ.
- 2006–2011 წლებში განსახლებასა და კომპენსაციებზე მილიონები დაიხარჯა. ამის მიუხედავად, ამავე პერიოდში განსასახლებელთა რაოდენობა 9 600–დან 11 000–მდე გაიზარდა.

მზაობა ცვლილებებისთვის, ინიციატივის გეგმები

2011 წელს შეიქმნა მიგრაციის საკითხთა სამოქალაქო კოალიცია, რომელშიც შევიდნენ საქართველოს, რეგიონული და საერთაშორისო ორგანიზაციები.

3 ივნისს კოალიციის წევრები შეხვდნენ აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნული პლატფორმის სამი თემატური ჯგუფის კოორდინატორებს და პლატფორმის კოორდინატორთან ერთად შეთანხმდნენ, რომ განხილვებში ეროვნული პლატფორმაც ჩაერთოს.

ინიციატივა გეგმავს, საქართველოს მთავრობასთან ინტენსიური დიალოგის, ასევე ევროკავშირის დელეგაციასთან, გაეროს მისიასთან, სხვა საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, სამეცნიერო წრეებთან და მედიასთან თანამშრომლობის საშუალებით, გადაიდგას რეალური ნაბიჯები იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად.

კოალიციამ შეიმუშავა რეკომენდაციები და აწარმოებს მუდმივ კონსულტაციებს საქართველოს მთავრობასთან, მათ შორის, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიასთან, პარლამენტთან, ასევე ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს სახალხო დამცველის ოფისთან, არასამთავრობო და მედია-ორგანიზაციებთან. კოალიციის ინიციატივით, ეკომიგრანტების თემა ცალკე თავის სახით შევიდა სახალხო დამცველის ბოლო მოხსენებაში. ასევე დაგეგმილია სპეციალური მოხსენების გაკეთებაც, რაზეც სახალხო დამცველის ოფისმა მუშაობა უკვე დაიწყო.

ინიციატივას მხარს უჭერს ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში. ხვალ, 10 ივნისს დაგეგმილია შეხვედრა ევროკავშირის დელეგაციასთან, სადაც კოალიციისა და პლატფორმის ხედვა და გეგმები განიხილება.

ნიშანდობლივია, რომ ეკომიგრაციის თემა არც ხელისუფლებისთვისაა ახალი და საქართველოს მთავრობამ სხვადასხვა დროს უკვე რამდენჯერმე გამოთქვა მზაობა პროცესის დასაწყებად:

- 2004 წელი: გამოდის სამთავრობო დადგენილება ეკომიგრაციის პროცესების მარეგულირებელი კომისიის შექმნის შესახებ, რომლის მიხედვითაც “დაუყოვნებლივ საჭიროა ეკომიგრაციის პროცესების დარეგულირება, მისი იურიდიულ ჩარჩოებში მოქცევა და ამ საკითხების გადაწყვეტისათვის ახალი მიდგომების მოძიება”
- 2006 წელი: ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში იქმნება მონიტორინგის ჯგუფი, რომლის დასკვნებიც, “ეკოლოგიურ მიგრანტთა მიმართ პოლიტიკის შემუშავების საფუძველი გახდება”.
- 2007 წლის განმავლობაში ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო გეგმავს “ეკოლოგიური მიგრაციის მკაფიო პოლიტიკის ფორმულირებას, ასევე სათანადო საკანონმდებლო ბაზის შექმნას, რომელიც ეკოლოგიურ მიგრაციასა და ეკოლოგიურ მიგრანტთა საკითხებს დაარეგულირებს”.
- 2007 წელი: მიგრაციის საკითხთა სამოქალაქო კოალიციის წევრი ორგანიზაცია – ევროპული ცენტრი უმცირესობის საკითხებში (ECMI) ხელისუფლებას რეკომენდაციას აძლევს, დაფუძნდეს აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალი რანგის პირებით დაკომპლექტებული უწყებათშორისო ორგანო, რომელიც შეიმუშავებს განსახლების გრძლევადიანი სტრატეგიას.
- 2010 წელი: იქმნება მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, რომელსაც მიგრაციის სფეროში საქართველოს მთავრობის ერთიანი პოლიტიკის განსაზღვრა და მართვის სისტემის გაუმჯობესება ევალება.

- 2011 წელი: მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე გიორგი ვაშაძე აღნიშნავს, რომ კომისიის მიზნიდან გამომდინარე, “კომისიის მხრიდან, თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება როგორც შიდა, ასევე გარე მიგრაციის სხვადასხვა მიმართულებებს”. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიასთან მიღწეულია შეთანხმება, მოეწყოს მიგრაციის საკითხთა სამოქალაქო კოალიციის პრეზენტაცია კომისიის სხდომაზე. პრეზენტაციაზე მონაწილეობას მიიღებენ ასევე ეროვნული პლატფორმისა და რელევანტური თემატური ჯგუფების კოორდინატორები.
- ივლისის დასაწყისში დაგეგმილია კონფერენცია და ვორქშოპი ეკომიგრაციის საკითხებზე რეკომენდაციების მოსამზადებლად. კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნული პლატფორმის, მიგრაციის საკითხთან სამოქალაქო კოალიციის, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის, პასუხისმგებელი სახელმწიფო სტრუქტურების, სახალხო დამცველის, საზოგადოებრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ექსპერტები. პრეზენტაციების, დისკუსიისა და ორდღიანი განხილვების შედეგად დამუშავდება ქვემოთ მოყვანილი რეკომენდაციები და გადაეგზავნება შესაბამის სტრუქტურებს.

რეკომენდაციები

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიამ, დებულებით გაწერილი მიზნების, ფუნქციებისა და ამოცანების შესაბამისად, მოამზადოს წინადადებები ეკომიგრაციის სფეროში საქართველოს მთავრობის ერთიანი პოლიტიკის განსაზღვრისა და პროცესების მართვის სახელმწიფოებრივი სისტემის გაუმჯობესების მიზნით; მოამზადოს და საქართველოს მთავრობას განსახილველად წარუდგინოს შესაბამისი გადაწყვეტილებებისა და სამართლებრივი აქტების პროექტები.

ამისათვის:

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიაში შევიდეს: გარემოს დაცვის, რეგიონული განვითარების, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროები;

კომისიამ, ევროკავშირის დელეგაციის მიერ მიცემული რეკომენდაციის შესაბამისად, შექმნას თემატური სამუშაო ჯგუფი შესაბამისი სამინისტროების, სახელმწიფო უწყებების, ორგანიზაციებისა და დამოუკიდებელი ექსპერტების მონაწილეობით;

კომისიამ, საოქმო გადაწყვეტილებით, ეკომიგრაციის სამუშაო ჯგუფს დაავალოს ეკომიგრაციის საკითხების შესწავლა და კომისიის სხდომაზე განსახილველ შესაბამის გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადება;

ეკომიგრაციის სამუშაო ჯგუფმა სამინისტროებისგან, სხვა სახელმწიფო უწყებებისა და ორგანიზაციებისაგან მოითხოვოს და მიიღოს კომისიის საქმიანობისათვის აუცილებელი ინფორმაცია;

ეკომიგრაციის სამუშაო ჯგუფმა მოამზადოს კანონპროექტი ეკოლოგიური მიზეზით ადგილნაცვალ პირთა შესახებ. ამის ალტერნატივა შეიძლება ასევე იყოს არსებულ კანონმდებლობაში შესწორებების შეტანა ეკომიგრანტთა სტატუსის, უფლებებისა და ვალდებულებების ჩამატებით – შიდა ადგილნაცვალობასთან დაკავშირებით – გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად. ამისათვის კომისიამ ითანამშრომლოს საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან ინფორმაციის, მონაცემთა და გამოცდილების გაზიარების მიზნით;

ეკომიგრაციის სამუშაო ჯგუფმა დაიწყოს სტრატეგიული გეგმის შემუშავება და პროცესში ჩართოს ეროვნული და საერთაშორისო სააგენტოები.

ეკომიგრაციის მართვის გრძელვადიანი სტრატეგია უნდა მოიცავდეს:

- სპეციალური სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებას, რომელიც სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული ადამიანების საჭიროებებს დააკმაყოფილებს.
- მოქმედებათა სათადარიგო გეგმის მომზადებას - მოულოდნელი სტიქიური უბედურების შემთხვევაში მოქმედებისთვის.
- სპეციალური სარეზერვო ფონდების შექმნას – სამედიცინო და ჰუმანიტარული დახმარებისათვის.
- განსახლების დახმარების პროგრამის შემუშავებას, რომელიც ეკოლოგიურ მიგრანტებს დაეხმარება ადაპტაციაში ჩასახლების პირველ პერიოდში.
- ინტეგრაციის პროგრამის მომზადებას – სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და საგანმანათლებლო ინტეგრაციის ასპექტების გათვალისწინებით. პროგრამაში სათანადოდ უნდა იყოს ასახული მიმღები თემების ადგილობრივი სპეციფიკა.

ეკომიგრაციის სამუშაო ჯგუფმა დაიწყოს დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, რათა მოიპოვოს ფინანსური და ინფორმაციული დახმარება განსახლების პროგრამის ჩამოყალიბებისა და შესრულების პროცესში

სტრატეგიის შემუშავებაში ჩართოს მიგრანტთა თემებისა და მიმღები თემების წარმომადგენლები; განხორციელდეს კვლევები ეკოლოგიური მიგრანტების მდგომარეობის შესასწავლად.

გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განაახლოს პროგრამული გეოლოგიური მონიტორინგი საქართველოს ყველა რეგიონში;

განსახლების მრავალმხრივი სტრატეგია შეეხოს იმ ეკომიგრანტთა პრობლემებსაც, რომლებიც 1987 წლიდან ჩასახლდნენ და დღემდე აწყდებიან სირთულეებს სახლებისა და მიწების ფორმალურ მფლობელობასთან დაკავშირებით.

კვლევა მხარდაჭერილია ფონდის „ღია საზოგადოება საქართველო“ მიერ